დამტკიცებულია
საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის
სხდომაზე, ოქმი # 3, 09.05.2017

ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება შემუშავებულია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის წესდების, „ბუღალტრულლი აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე.
2. დებულება განსაზღვრავს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სტრუქტურული ერთეულის - ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის მიზნებს, უფლება-მოვალეობებს, მუშაობის წესებსა და პროცედურებს.
3. კომიტეტი იქმნება ბაფის კომიტეტების შესახებ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. კომიტეტის მისია

კომიტეტის მისიაა ხელი შეუწყოს ეთიკის კოდექსის მიზნის მიღწევას - ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამკვიდრებას ბაფის წევრი ბუღალტრების მიერ თავიანთი პროფესიული მოვალეობის ღირსეულად შესასრულებლად.

მუხლი 3. კომიტეტის მიზნები

კომიტეტის საქმიანობის მიზნებს წარმოადგენს:

ა. ბაფის წევრთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სამართლიანი წესის დამკვიდრება;

ბ. დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად გადაწყვეტილების მისაღებად დაამკვიდროს პროპორციულობა, სიცხადე, თანმიმდევრულობა და გამჭვირვალობა.

მუხლი 4. კომიტეტის მოვალეობები და უფლებები

დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და კომიტეტის დასახული მიზნების მისაღწევად კომიტეტს ევალება:

4.1. ბაფის წევრთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესის შემუშავება და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმება;

4.2. ეთიკის კოდექსის და ხარისხის კონტროლის სისტემის დარღვევის ფაქტების მოკვლევა და განხილვა;

4.3. ბაფის წევრი ბუღალტრების მიერ პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად, ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების დამკვიდრების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

4.4. ბაფის წევრებისათვის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების გასაცნობად და პროფესიული ქცევის დასანერგად პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

4.5. კომიტეტს და შესაბამისად, შეუსაბამო ქცევის ფაქტების განხილვას ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე;

4.6. კომიტეტი სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

ა) მოკვლევის დაწყება;

ბ) მოკვლევის განმახორციელებელი პირის შერჩევა/დანიშვნა;

გ) დისციპლინური საქმის წარმოების მოკვლევის სტადიაზე შეწყვეტა;

დ) შეუსაბამო ქცევის ფაქტის განმხილველ მოსაწვევ პირთა წრის სიის დამტკიცება;

ე) შეუსაბამო ქცევის ფაქტის განმხილველი კომისიის (შემდგომ - კომისია) შემადგენლობის განსაზღვრა და განხილვის დღის დანიშვნა;

ვ) დისციპლინური საქმის წარმოების დასრულებულად გამოცხადება;

ზ) დასრულებულ დისციპლინური საქმის წარმოების შედეგებზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შინაარსი.

4.7. კომიტეტი უზრუნველყოფს:

ა) ბაფის წევრების მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომის აღრიცხვას, გამეორებითი დარღვევის იდენტიფიცირებისა და სტატისტიკის საწარმოებლად;

ბ) დისციპლინური საქმის წარმოების დოკუმენტების შენახვა - დაარქივებას;

გ) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებზე ინფორმაციის მომზადებას დავების განმხილველი საბჭოსათვის გადასაცემად;

დ) საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრების მიმართ გამოყენებულ დისციპლინური ზომის შესახებ სამსახურისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას;

ე) დისციპლინარული საქმის განმხილველი კომისიის შერჩევა.

4.8. კომიტეტი ეთიკისა და დისციპლინარული მოკვლევის საკითხებზე, აქტიურად თანამშრომლობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან“.

4.9. დებულებით განსაზღვრული ფუნქციების და დასახული მიზნების მისაღწევად კომიტეტს აქვს უფლება ბაფის სათანადო სტრუქტურებს დადგენილი წესით მოსთხოვოს:

- შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა და ჩატარება;
- ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება;
- სხვა ქმედებების განხორციელება ამ დებულების და ბაფის წესდების მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 5. კომიტეტის წევრები

5.1. კომიტეტის წევრებს 2 წლის ვადით ამტკიცებს ბაფის გამგეობა. ამ ვადის გასვლის შემდეგ კომიტეტის წევრების უფლებამოსილება გრძელდება კომიტეტის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე. კომიტეტის წევრების გადარჩევა შეიძლება შეუზღუდავად. კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრი აირჩევა დარჩენილი ვადით;

5.2. კომიტეტის წევრები კომიტეტში მუშაობისას ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი და პროფესიული ინტერესებით;

5.5 კომიტეტის წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ კომიტეტის სხდომებს, განიხილონ დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები და მიიღონ პირადი გადაწყვეტილებები კენჭისყრაზე გამოტანილ საკითხებთან მიმართებაში;

5.6. კომიტეტის წევრები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ ანაზღაურების გარეშე. იმ შემთხვევაში, როდესაც კომიტეტის ამა თუ იმ წევრის საქმიანობა მნიშვნელოვნად აღემატება უანგარო შრომის გონივრულ ზღვარს, შესაძლოა დადგეს ამ წევრის ანაზღაურების საკითხი;

5.7. **კომიტეტის** წევრს უფლება აქვს დაუბრკოლებლად მიიღოს კომიტეტში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

მუხლი 6. კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

6.1. კომიტეტის წევრს უფლებამოსილება უწყდება, თუ:

- ნებაყოფლობით გადადგა;
- მის მიმართ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
- არასაპატიო მიზეზით ზედიზედ არ დაესწრო კომიტეტის სამ სხდომას;

6.2. კომიტეტის წევრის გამოწვევა ხდება მხოლოდ ბაფის გამგეობის გადაწყვეტილებით;

6.3 კომიტეტის წევრს უფლება აქვს თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოვალეობანი

7.1. კომიტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე;

7.2 თავმჯდომარეს კომიტეტის წევრთაგან ირჩევენ კომიტეტის წევრები ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით;

7.3. თავმჯდომარე წარმოადგენს კომიტეტს ბაფის გამგეობასთან ურთიერთობაში;

7.4. თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს კომიტეტის მუშაობას, პასუხს აგებს კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საპროცედურო წესების დაცვასა და ამ გადაწყვეტილებების გამოქვეყნებაზე;

7.5. თავმჯდომარეს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან, მაგრამ შეასრულოს კომიტეტის წევრის ფუნქციები დარჩენილი ვადით.

7.6. ამ მუხლით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობისას დგება თავმჯდომარის გადარჩევის საკითხი. თავმჯდომარეობიდან გადაყენებულ პირს უნარჩუნდება კომიტეტის წევრობის უფლება. ახალი თავმჯდომარე აირჩევა დარჩენილი ვადით.

მუხლი 8. კომიტეტის მუშაობის წესი

8.1. კომიტეტი თავის ფუნქციებს ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

კომიტეტი გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება კომიტეტის წევრთა ორი მესამედი;

8.2. კომიტეტის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ხმის მიცემის ფორმას განსაზღვრავს სხდომა;

8.3. კომიტეტის სხდომას ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე. სხდომის მდივნის ფუნქციას ასრულებს კომიტეტის რიმელიმე წევრი;

8.4. კომიტეტის სხდომებზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა კონსენსუსის მეშვეობით ან ხმის მიცემით უმრავლესობით;

8.5. კომიტეტის სხდომების დაწყებისას კომიტეტის წევრები ხმის მიცემის წესით უმრავლესობით დაადგენენ, თუ როგორი წესით უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება თითოეულ განსახილველ საკითხზე: იქნება ეს კონსენსუსით თუ უმრავლესობით;

8.6. კომიტეტის სხდომებში მრჩევლის სტატუსით და სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მონაწილეობდნენ მოწვეული ექსპერტები;

8.7. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგი და განსახილველი დოკუმენტები კომიტეტის წევრებს გაეგზავნებათ სხდომამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე. კომიტეტის თითოეულ წევრს აქვს უფლება მოითხოვოს დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა არაუგვიანეს დანიშნულ სხდომამდე 2 სამუშაო დღით ადრე. განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხის არსებობის შემთხვევაში მისი რიგგარეშე განხილვის მიზნით დღის წესრიგში ცვლილება და/ან სასწრაფო წესით განსახილველი დოკუმენტების მიწოდება შეიძლება მოხდეს სხდომამდე სულ მცირე ორი სამუშაო დღით ადრე;

8.8. კომიტეტის წევრები განსახილველი დოკუმენტების მიღების შემდეგ 1 კვირის ვადაში

მიაწვდიან შენიშვნებსა და კომენტარებს, რაც კონკრეტულ დოკუმენტებთან მიმართებაში გააჩნიათ;

8.8. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტის სხდომის მსვლელობისას ვერ მოხერხდა განხილული დოკუმენტების საბოლოო სახით დამტკიცება, შესაძლებელია ეს მოხდეს დამატებითი ელექტრონული კორესპონდენციის გამოყენებით.

მუხლი 9. კომიტეტის ანგარიში

კომიტეტი ყოველი წლის 1 მაისამდე თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ბაფის გამგეობას.